



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 19 აპრილი

დისციპლინური საქმე №33/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2022 წლის 9 მარტს --- მიერ წარმოდგენილ იქნა №33 საჩივარი მოსამართლე --- მიმართ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს --- განკარგულების საფუძველზე, --- --, --- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ --- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს --- მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

--- -- №33/22 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის --- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე ეთქვას უარი.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი